# ძუნწი რაინდი

## სცენა I

### ციხე-დარბაზი

ალბერი და მსახური

ალბერი

ასპარეზობას, ქვეყანა რომ დაიქცეს, მაინც
ვერ დავაკლდები, აბა, ერთი მაჩვენე კიდევ
ეგ მუზარადი... (მსახურს მოაქვს მუზარადი)
რა დარტყმაა! გახვრეტილია
ერთი მოქნევით არა, მაგის თავზე დახურვა
აღარ იქნება, გრაფო დელორჟ, წყეულმც იყავ!

მსახური

მაგრამ თქვენც კარგად გადაუხადეთ უზანგებიდან
რომ გააფრინეთ და მიწა რომ მოალოკინეთ
მკვდარივით იწვა მთელ ღამე და საეჭვოა
გამომჯობინდეს.

ალბერი

მაგრამ თორი ხომ მთელი შერჩა,
არ იზარალა სამკერდული ვენეციური,
მკერდი კი იმას, საკუთარი, არაფერს ღირს,
არ დასჭირდება ახლის ყიდვა. რატომ იქავე
თავს არ ავხადე მუზარადი. მაგრამ ჰერცოგის,
სეფექალების მომერიდა, რაღას ვიზამდი.
ნეტავი თავი გეეხვრიტა ჩემთვის იმ წყეულს!

ჯერაც არა მაქს, მჭირდება კი. უკანასკნელად

იქ რომ ვიყავი სადარბაზოდ რაინდებს - ყველას

ოქსინოეცვათდა ხავერდი, ჰერცოგის სუფრას

მარტომე ვუჯექ თორაბჯრში. სხვა რა გზა მქონდა:

შემთხვევითმოვხვდი კარზე-მეთქი, მოვიმიზეზე.

რითგავიმართლოახლა თავი, ო, სიღარიბევ.

როგორამცირებს შენი სუსხი რაინდის ყოფას!

როცა კისკასადჩამიქროლა გვერდითდოლორჟმა

და მუზარადი გადმოიგდომძიმე ჰოროლით,

მე დეზი ვკარი ჩემს ამირას, ქარაშოტივით

ვეძგერე გრაფს და პირშიშველი მოუვენალივით

ძირს დავანარცხე. რა უცრადწამოშალნენ

ადგილებიდან სეფექალნი! თვითონ კლოტილდამ

თვალებზე ხელი აიფარა და უნებურად

შეჰკივლა. ხოლოჰეროლდები მიქებდნენ დარტყმას.

რაინდთა შორის ჩემს უცნაურძალმოჭარბებას

და გულფიცხობას მაშინ ვერვინ მიუხვდა მიზეზს.

გაშმაგებული ვიყავ ჩემი მუზარადისთვის:

რა იყოძირი გამირობისა, როგორგგონია?

სიძუნწე, დაო! მამაჩემის ციხე-დარბაზში

ძნელი არაა ზნე და ფერი იცვალოს კაცმა...

ამირას ფეხი როგორა აქვს?

მ ს ა ხ ური

კოჭლობს საწყალი.

ჯერხანობით მასზე ვერშეჯდებით

ალბერი

ისევ ქურანა

უნდა ვიყიდო, სხვა არა მაქვს გამოსავალი.

ბევრსაც არ მთხოვენ.

მსახური

მაგრამ ფული, ფული სადარი?!

ალბერი

ის უმაქნისი სოლომონი რას ამბობს ნეტა?

მსახური

იმას ამბობს, რომ ამას აქეთ არ შეუძლია

გვასესხოს ფული, თუ გირაოს არ ჩავაბარებთ

ალბერი

მაგრამ, რჯულმალო, ეს გირაო სად ვიშოვნო-თქო?

მსახური

მეც ეს ვუთხარი.

ალბერი

მერე?

მსახური

კუთავს და იგრიხება.

ალბერი

კი მაგრამ გეთქვა, სხვათა შორის, რომ მამაჩემი

ურიასავით მდიდარია, ადრე თუ გვიან

მე რომ დამრჩება მამაჩემის საბადებელი.

მსახური

ვუთხარი.

ალბერი

მერე?

მსახური

კუთავს ისევ და იგრიხება.

ალბერი

ოჰ, რა დღეში ვარ!

მსახური

ასე მითხრა, გამოვიდოო.

მადლობა უფალს! ესა სყიდლოდ ვერც გადმირჩება.

(კარზე აკაკუნებენ)

ვინ არის, - შემო!

ურია

მე ვარ, თქვენი მონა-მორჩილი.

ალბერი

ა-ა, სოლომონ!... აქეთ მოდი!... წყეულო ჩარჩო,

ურიავ სინდისგარეცხილო, ნისიას უკვე

აღარ მენდობი?

ურია

მოწყალეო თავადიშვილო,

თქვენი მაღალი ნუ გამიწყრება, გამატალე

მე რაინდების სამსახურმა, სად მაქვს ფული?

არავი მიხდის ვალს, მე თვითონ სათხოვარად მოველ

ვინმე ნაწილი და მიბრუნდით, ვინმე..

ალბერი

ყაჩაღო!

ფული რომ მქონდეს, როგორც ფიქრობ, გაგიყადრებდი

თავს, უგულმართო! ნუ იჩნობ, სოლომონ ჩემო,

დამყევი ნებას, სანამ შენ თავს გავაჩხრეკინებ.

სულ რაღაც ასი ოქრომინდა.

ურია

ასიო? ღმერთო!

ერთი მარჩილიც რომ გამაჩნდეს!...

ალბერი

ნუთუ სინდისი

გადაიწურეს სულ მთლად შენი მეგობრის დახსნა

რომ არ გინდა?

ურია

თავსა ვფიცავ...

ალბერი

ჰო, კარგი, მორჩი.

გირაო გინდა, - ხომ ასეა? მაგრამ იფიქრე,

რა უნდა მოგცე გირაოში, თქვი, ღორის ტყავი?

მისაცემი რომ რამე მქონდეს, დიდი ხანია

გზას ვუჩვენებდი. ანდა იქნებ რაინდის სიტყვას,

შე მართლაც ღორო, არაფრად აგდებ?

ურია

სანამ

ცოცხალსა გხედავთ, დახაც რომ ოქროდ ფასობს

ეგ თქვენი სიტყვა, ფლამანდის ყველა საგანძურს

და ოქროებით გამოტენილ ზანდუკებს იგი

თვალსმასავით გახსნის მუდამ, მაგრამ თუკი მას

მე ჩამაბარებთ გაკოტრებულ საწყალ ებრაელს,

ამ დროს კი (ღმერთმა დაგიფაროთ) მოკვდებით მაშინ

უძირო ზღვაში გადაგდებულ ზარდახშის კლიტეს

დაემსგავსება იგი. . .

ა ლ ბ ე რ ი

ნუთუ მე მამაჩემზე

ადრე მოვკვდები?

ურ ი ა

ვინ რა იცის? ულმობელია

განგების ხელი! აგერ გუშინ ვარსკვლავს რომ წყვეტდა,

იმ ჭაბუკს ოთხი ბერიკაცი წელში მოხრილი

დღეს საფლავისკენ მიასვენებს. ღმერთმა ინებოს,

ბარონმა კიდევ ოცი წელი და ოცდაათიც

რომ იდღეგრძელოს.

ა ლ ბ ე რ ი

თავს ნუ იგდებ, რა - ოცდაათ!

ოცდაათი წლის შემდეგ მე ხომ ორმოცდაათი

მომიკაკუნებს და მაშინ ფული რა თავში ვიხლო?

ურ ი ა

ფული? ო, ფული საჭიროა ყველა ასაკში,

მაგრამ ჭაბუკი მას იყენებს ფეხმარდ მსახურად

და უმოწყალოდ აქეთიქით დაარბენინებს.

ბერიკაცი კი მასში ერთგულ მეგობარს ხედავს

და უფრთხილდება ამიტომაც თვალისჩინივით

ალბერი

არა! მამაჩემს არც მეგობრად და არც მსახურად

არ მიაჩნია იგი, მისთვის კერპია ფული.

ემსახურება მას თვითონვე, და მერე როგორ?

როგორც ალჟირის მონა, როგორც ჯაჭვზე დაბმული

ნაგაზი. აკი ზამთარ-ზაფხულ თავის ხუხულს

არა შორდება. ხმელ პურით და წყალით გაძლებს.

თვალს არა ხუჭავს მთელ ღამე. ყეფს და წრიალებს.

ზანდუკებში კი უდრტვინველად სძინავთ ოქროებს . . .

ხმა-მეთქი! ჩემი დღეც დადგება და იმ ოქროებს

დაუწყდებათ მშვიდი ძილი.

ურია

ჭეშმარიტად ბრძანებთ. . .

ბარონის სიკვდილს ცრემლზე მეტად ფული იტირებს. . .

ღმერთმა ქნას, მალე ჩაიბაროთ მემკვიდრეობა.

ალბერი

**Amen!**

ურია

ან იქნებ. . .

ალბერი

რაო, იქნებ?

ურია

არის სხვაგვარი

გამოსავალიც. . .

ალბერი

ჰო, როგორი, აბა!

ურია

ისეთი...

ერთი ნაცნობი ებრაელი ბებერი ვიცი,

აფთიაქარი...

ალბერი

მევახშეა შენსავით გლესპი

და ცბიერი, თუ ცოტათი პატიოსანი?

ურია

არა, ტობიას დახლი უფრო სულ სხვანაირი -

წვეთებს აზავებს... გაგაოცებთ მათი

ზემოქმედება.

ალბერი

კი მაგრამ, მე რაში მარგია?

ურია

სამიოდე წვეთს გააზავებთ ერთ ჭიქა წყალში...

არც გემოს მისცემს და არც ფერი არ დაჩნდება.

კაცი კი ამ დროს მუცლის გვრემის, პირის საქმების,

კრუნჩხვის გარეშე სულს ეყრება.

შენი ბებერი

ალბერი

აფთიაქარი, როგორც ჩანს, საწამლავს ყიდის.

ურია

ჰო, საწამლავსაც...

ალბერი

მერე რაო, რას ამბობ მაზით

ფულის მაგივრად საწამლავის ორასი შუშა

გინდა მომართვა, თითოეულში ამას მპირდები?

ურია

დამცინით ალბათ, გაიხარეთ . . . მე . . . მე ვფიქრობდი. . .

იქნება თქვენ გსურდათ . . მე მგონია, დროა რის უკვე

ბარონმა სული მიაბაროს მამაზეციერს.

როგორ! მოვწამლო საკუთარი მამა? შე წუწკო,

ალბერი

როგორ მიბედავ! . . . ო, ასპიტო, პირგესლიანო! (მსახურს)

შეჰკარ ახლავე, არ გაუშვა! იცი თუ არა,

რომ ამ წუთსავე ჩამოვკიდებ ჩემს კარიბჭეზე

და ვერაფერი ვერ გიშველის?

ურია

ო, მაპატიეთ

დამნაშავე ვარ. . . მე გეხუმრეთ . .

ალბერი

შეჰკარ-მეთქი!

ურია

ო, მე. . . გეხუმრეთ მე ფული მაქვს წამოღებული. . .

ალბერი

თავიდან მომწყდი, უკეთურო!

(სოლომონი გადის. მიმართავს მსახურს)

აი, სადამდე

მიმყავარ ჩემივ საკუთარი მამის სიძუნწეს.

ხედავ, ურიამ, მაგ ურჯულომ, რა გამიბედა?

ღვინოდ მისხი ერთი ჭიქა! სიბრაზისაგან

ვკანკალებ სულმთლად.. მაგრამ ფული, რომ მაინც მინდა!

წადი იმ წყეულს დაეწიე და რაც ოქრო აქვს

წაართვი ბარემ... მოიტანე საწერ-კალამიც,

რომ ხელწერილი დავუწერო. ნუ შემოიყვან

ოღონდ ოთახში, მაგ იუდას ნუ დამანახვებ!

თუმცა მოიცა, მისი ოქროებს მისივ წინაპრის

ვერცხლივით ალბათ საწამლავის სუნი აუვა...

ღვინოდ მისხი, რა გითხარი!

მ ს ა ხ ური

რომ აღარ გვაქვს!

ა ლბ ე რი

ის რაღა იქნა, რემონმა რომ გამოიგზავნა

ესპანეთიდან?

მ ს ა ხ ური

ის გუშინ ღამე - უკანასკნელი

ბოთლი - ავადმყოფ მჭედელს მივე.

ა ლბ ე რი

ჰო, მახსოვს, კარგი...

მაშ, წყალი მომე. რა ვუთხარი ასეთ ცხოვრებას~

არა, გადაწყდა, სამართალი უნდა ვეძიო

ჰერცოგთან. მივალ, აიძულოს იქნებ ბარონი

მომეპყროს ისე, ვით შეჰფერის მეს მხოლოდშობილს

და არა ვირთხას ჯურღმულისას.

სცენა II

საგანძურში

ბარონი

ვით ქარაფშუტა ახალგაზრდა ელის პაემანს
მემრუშე ქალთან, ან ცრუსიტყვით დაბმულთაცთან,
და შური მისდის, ეგრეც მეც სულმოუთმენლად
ამ წუთს ველოდი მთელ კვირა, სანამ იდუმალ
ჩემს საგანძურში ამ ზანდუკებს არ მოვაკითხე.
სვიანი დღე მაქვს! დღეს ჩემს ზანდუკს რიგით მეექვსეს
(ზანდუკს ჯერ ნაკლულს) ერთ მუჭა ოქრო შევმატე.
ცოტაა იქნებ? მაგრამ თქმულა: თითო წვეთობით
აივსებოდა ზღვის უფსკრული. წაკითხული მაქვს:
ხელმწიფეს ერთხელ თავის სპისთვის უბრძანებია
წაეღოთ მიწა თითო მუჭა და დაეყარათ
დანიშნულ ადგილს, სადაც მიწა ჯერ აიბორცვა,
მერე კი იქცა ქედმართულ გორაკად და ის
ხელმწიფე თურმე იმ ქედიდან გადასცქეროდა
თეთრი კარვებით გადაპენტილ მინდორს და ზღვასაც,
ზედ მისრიალე გემებით და ხომალდებითურთ
მეც ყოველგვარ თითო მუჭა ხარკის მოტანით
აქ, საგანძურში ავამაღლე თანდათანობით
ჩემი გორაკი და მაღლიდან დავსცქერი ახლა
ყველაფერს, რაც ჩემს ხელმწიფებას ემორჩილება.

რაღა არ არის ჩემს ხელქვეით? მე შემიძლია,

გამრიგე ვიყო წუთისოფლის ამიერიდან!!

მოვისურვებ და პალატები აღიმართება,

უმშვენიერეს ბაღნარებში ჩემს დაძახილზე

უცბად მოირბენს ულამაზეს ნიმფების გუნდი.

მუზები ჩემს წინ მოიხრიან თავიანთ ქედს,

თვით ქედუხრელი გენიაც კი დამემონება

და სათნოება, და გარყვნილი, უწილო შრომაც

ისევ ჩემს კალთას და საჩუქარს დაელოდება.

დავუცქერ მხოლოდ მორჩილი ზლაზვნით ჩემკენ

სისხლით მოთხვრილი ბოროტება მოიზლაზნება,

მოვა და ხელებს დამიკოცნის, თვალებში მუდამ

მომაშტერდება, რომ გაიგოს ჩემი გულისთქმა.

ჩემს მეუფებას მონებს ყველა, გულითადი,

მარტო მე არვის ვემონები ამ სამყაროში,

ყველაზე მაღლა მაქვს საუფლო, ყველაფრის ზევით!

ვიცი, რა ძალით ვარ მოსილი და მაშინებს

მარტოოდენ ამის გაფიქრებაც. . .

(დასცქერის თავის ოქროებს)

ცოტა თითქოს,

მაგრამ განა არ აიწონის მათ სიმძიმე

კაცთა ზრუნვას და სიდუხჭირეს, ჭირსა და ვარამს,

წყევლას, ვედრებას, უბედობას, მუხანათობას?

აქ არის სადღაც ძველებური დოქკანი. . . აგერ!

ქვრივმა გადმომცა ეს დოქკანი, მაგრამ მანამდე

ჭიშკართან, ჩემი ფანჯრების წინ, სამი ბალღითურთ
მუხლებზე იდგა და მთელ დღე ღმუოდა. წვიმამ
ამასობაში გადაიღო, გაწვიმდა ისევ,
ის კი, თვალთმაქცი, არ იძვროდა. შემეძლო მისი
გაგდება, მაგრამ წინდაწინვე მიგრძნობდა გული,
რომ მოტანილი ექნებოდა თავის ქმრის ვალი
და ხვალ ციხეში წაბრძანებას არ ისურვებდა.
ხოლო ეს? ეს მე მომიტანა უქნარა ტიბომ,
ნეტა საიდან გამოჩხრიკა ჩიტირეკიამ?
მოიპარავდა უსათუოდ თუმცა, ვინ იცის?
იქნება სადმე შარაგზაზე, ღამით ჭალაში...
ასეა! რაც აქ საუნჯეა გადანახული,
მისთვის დაღვრილი ყველა ცრემლი, სისხლი და ოფლი,
ერთბაშად მიწის გულიდან რომ ამომსკდარიყო,
წარღვნიდა სისხლის ნიაღვარი ქვეყანას და მეც
ჩემს ზანდუკებით დამახრჩობდა... ახლა კი დროა.
(ზანდუკის გაღებას აპირებს)

ყოველთვის, როცა დავაპირებ ზანდუკს გაღებას,
ცხრომომივლის და უცნაური თრთოლა ამიტანს,
კი არა ვშიშობ (მეშინოდეს ვისმე? რატომ?
მახვილი მახლავს და მტერს პასუხს იგი მიაგებს
საკადრისს), მაგრამ მეწურება როგორღაც გული
ამოუხსნელი წინათგრძნობით.. არის ხალხი,
მედიკოსები გვარწმუნებენ, კაცის კვალში რომ

უცნაურ შვებას ნახულობენ. როდესაც ბოქლომს

გასაღებს ვურიგებ, მე თავად ვგრძნობ, რას უნდა გრძნობდნენ

ისინი, როცა თავიანთ მსხვერპლს დანას უყრიან:

საშინელებს და უცნაურ შვებას. . .

(აღებს ზანდუკს)

ჩემი შვება და ნეტარება! (შიგ ყრის ოქროს)

გეყოთ წანწალო

კაცთა ვნებების სამსახურად აქ დაისვენეთ

და კაცთა შორის მიძინებულ ღმერთების მსგავსად

თქვენც მიიძინეთ მაგარი და ნეტარი ძილით . .

მინდა დღეს ჩემთვის მოვილხინო: სანთელს დავუნთებ

თვითეულ ზანდუკს და მათ შორის უხმოდ ჩამდგარი

თავდახრილ ოქროს დავაცხრები თვალდამშეული.

(მიყოლებით ხსნის ზანდუკებს და სანთლებს უნთებს)

მე მაქვს მეფობა ამ ჯადოქრულ ოქროზე! მე ვარ

მისი პატრონი და უფალი ამ ქვეყანაზე,

ბედნიერებით და ღირსებით მორჭმული მისგან

დავიარები!. . . მაგრამ შემდეგ, ჩემ შემდეგ მასზე

ვის უნდა დარჩეს ხელმწიფება? მემკვიდრეს ჩემსას,

ამ შლეგს და მფლანგველს, მემრუშეთა უბადრუკ არიფს? . . .

გაცივებასაც არ დამაცლის, როცა მოვკვდები.

ის, ის - უგვანი! აქ ამ მყუდრო თაღების ჩრდილში

შემოიჭრება მოქეიფე კარისკაცების

და უტიფარი როკაპების მთვრალ ამალით,

წამგლეჯს გასაღებს და უშვერი სიცილხარხარით

და ხსნის ზანდუკებს! და ეს ჩემი ნაწვავ-ნადაგი
იმათ გახვრეტილ ჯიბეებში ჩაჩხრიალდება.
ოქროს ზარძიმებს იავარყოფს, დალეწავს თასებს,
სამეუფეო ზეთით მიწას გაამძღობს, ყოველს -
გაფლანგავს, გასცემს, ქარს გაატანს, გააპარტახებს! . . .
მაგრამ ვიკითხოთ, რა უფლებით? ყველაფერი ეს
მე განა ქარმა მომიტანა, ან კიდევ ციდან
ჩამომივარდა! არა, ოქრო ყომარბაზივით
კამათლის ერთი გადაყრით არ მომიხვეტია!
ვინ დაიჯერებს, თუ რამდენი უძილო ღამის,
დაოკებული ვნების, მწარე თავშეკავების,
ფიქრის და ზრუნვის ფასად მიღირს ეს ყველაფერი?
ან იქნებ მეტყვის ჩემი ძე, რომ ხავსი მომედო,
რომ გული ვნებით არასოდეს ამძგერებია,
ან არასოდეს განმიცდია სინდისის ქენჯნა?
სინდისი! - გულში მოწრიალე პატარა მხეცი,
ღამის სტუმარი აბეზარი, ტლანქი მევალე,
ეს მაძახურა კუდიანი, რომელიც მთვარეს
აბნელებს ხოლმე, რომ საფლავში აჭრილი მკვდრები
დედამიწაზე ამორეკოს. . . არა! ჯერ იგრძენ,
იწვნიე, თვითონ გამოსცადე სიმწარე ჩემი
და მერე ვნახოთ, ჭირნახული როგორ გაფანტავ
იმას, რაც სისხლით გიშოვნია. . . ნეტა შემეძლოს
ამ საგანძურის გადამალვა ავი თვალისგან!
ნეტა შემეძლოს საფლავიდან აქ მობრუნება,

რომ ზანდუკებზე აჩრდილივით წამოსკუპულმა
ცოცხლებისაგან დავიფარო ჩემი განძი,
როგორც აქამდე ვიფარავდი!. . .

ს ც ე ნ ა III

სასახლეში

ა ლ ბ ე რ ი  დ ა  ჰ ე რ ც ო გ ი

ა ლ ბ ე რ ი

მერწმუნეთ თქვენო მეუფებავ, დიდხანს ვითმენდი
ხელმოკლეობის მწარე სირცხვილს და მეტისმეტად
რომ არ მიჭირდეს, საჩივრით თავს არ შეგეწყენდით

ჰ ე რ ც ო გ ი

მჯერა, დიახაც; თქვენისთანა კეთილშობილი
რაინდი მამას ბრალს არ დასდებს, არ გაამტყუნებს,
თუ უსაშველო ჭირი არ სჭირს. თუმცა არიან
გულრძნილების . . . ნუ ჯავრობთ მამათქვენს ცალკე
გავუწევ თათბირს, დავტუქსავ და დავიყოლიებ.
მას ველოდები ახლა სწორედ დიდი ხანია
აღარ მინახავს. მეგობრობდა პაპაჩემს წინათ
ჩემს ბავშვობაში, ცხენზე ბევრჯერ შევუჯენივარ,
თავის მუზარადს დამხურავდა ხოლმე საომარს -
მძიმე ზარივით უზარმაზარს.
(ფანჯარაში იცქირება) ის არის, მგონი.

ა ლ ბ ე რ ი

გახლავთ!

ჰ ე რ ც ო გ ი

მიბრძანდეთ იმ ოთახში. მე დაგიძახებთ

(ალბერი გადის. შემოდის ბარონი)

უფალმა მოგცეთ დღეგრძელობა! მიხარია დიდად

გულმხნედ რომ გხედავთ და ჯანმრთელად!

ბ ა რ ო ნ ი

ჩემო პატრონო,

ბედნიერი ვარ, რომ შევძელ ბრძანებისამებრ

გეახლოთ კარზე.

ჰ ე რ ც ო გ ი

დიდი ხანი გავიდა უკვე,

რაც არ გვინახავს ერთმანეთი. მე თუ გახსოვართ?

ბ ა რ ო ნ ი

თუ მახსოვხართ? ცხადად თითქოს ახლა გხედავდეთ,

ცოცხალ ბავშვი ბრძანდებოდით. ჰერცოგი ხშირად

მეტყოდა ხოლმე ცხენებული. ფილიპე ჩემო

(ის მე ფილიპეს მეძახოდა მუდამ), ხომ ხედავ?

ოცი წლის შემდეგ ეს რას იზამს? მე და შენ ალბათ

შუბ ტუტუცებად გამოვჩნდებით ამ ბალღის გვერდით,

ამ ბალღის ანუ. . . თქვენ წინაშე. . .

ჰ ე რ ც ო გ ი

ეს მახლობლობა

ჩვენ კვლავაც უნდა აღვადგინოთ. სულ დაივიწყეთ თქვენ ჩემი კარი.

ბ ა რ ო ნ ი

დავბერდი მე, ჩემო პატრონო,

რაღა დროს ჩემი კარგად ყოფნაა, თქვენ გაიხარეთ

ასპარეზობით, დარბაზობით, ჟამი თქვენია.

მე გარდავსულვარ! ღმერთმა თუ კი ინება,

კიდევ მივათრევ ჩემს ბებერ ძვლებს ცხენის ზურგამდის,

კიდევ მეყოფა მკლავში ძალა ხმლის მოსაქნევად

მამულისა და თქვენი მტერი რომ დავიფრინო.

ჰ ე რ ც ო გ ი

თავადო, თქვენი ერთგულება გვეთნევა ფრიად

თქვენ მეგობრობდით ჩემს დიდ პაპას, მამაჩემი კი

ვაჟკაცობისთვის გაფასებდათ და მეც ყოველთვის

მიმაჩნდით ერთგულ თავდადებულ მამაც რაინდად

მაგრამ ცოტა ხანს დავიმუხლოთ . . შვილები თუ გყავთ?

ბ ა რ ო ნ ი

ვაჟი მყავს ერთი.

ჰ ე რ ც ო გ ი

სასახლეში ვერ ვხედავ რატომღაც!

თქვენ კარგმა თავი მოგაბეზრათ, მაგრამ მის ხანში,

მისი წლოვანების ჭაბუკს მართებს გვეახლოს კარზე.

ბ ა რ ო ნ ი

ჩემს ძეს არ ხიბლავს სეფექალთა შორის ტრიალი,

უხიაგია და პირქუში. უცნაური ზნე

დასჩემდა, ტყეში ღამღამობით მარტოკა დაძრწის,

როგორც ირემი მარტოხელა

ჰ ე რ ც ო გ ი

საკადრისია

გატყუება, თქვით ასეთი? ჩვენ მოვარჯულებთ

მას სახიობით დარბაზობით ასპარეზობით

გამომიგზავნეთ საჩქაროდ შვილი დაუნიშნეთ

თავის წლების შესაფერი ხელის სახარჯო . .

ბ ა რ ო ნ ი

თქვენ ილუზიებით გზა დაგილოდათ, თუმცა ამაში

არაფერია გასაკვირი. . .

თქვენ გააწბილეთ

მოხუცი, თქვენო მეუფებავ, მე არ მინდოდა

შვილის ამბავი გამემხილა. თქვენ მაიძულებთ

გამოვიცხადო დაფარული: სამწუხაროდ

ჩემი ეს თქვენი არც წყალობის, არც ყურადღების

ღირსი არარის. ბიწიერდა უმსგავს ქეიფში

ატარებს იგი სიჭაბუკეს. . .

ჰ ე რ ც ო გ ი

მარტოდმარტო

და ეს იმიტომ მოსდის ალბათ მოცალეობით

გალეღებული სიმარტოვე ღუპავს ჭაბუკებს.

გამომიგზავნეთ მიყრუებულ ციხე-დარბაზის

ველური ზნე აქ, სასახლეში დაივიწყება.

ბ ა რ ო ნ ი

რა გითხრათ . . თქვენო მეუფებავ, მომიტევეთ მე,

ვერ დამითანხმებთ მაგ საქმეზე.

ჰ ე რ ც ო გ ი

კი მაგრამ, რატომ?

ბ ა რ ო ნ ი

გთხოვთ დამითხოვოთ ბერიკაცი. . .

ჰ ე რ ც ო გ ი

მე კი მოვითხოვ

გამაგებინოთ ამ უარის მიზეზი.

ბ ა რ ო ნ ი

შვილო

მე გამწყრალი ვარ.

ჰ ე რ ც ო გ ი

მაგრამ რატომ?

ბ ა რ ო ნ ი

გულში ჩემდამი

ავი ზრახვა აქვს და იმიტომ.

ჰ ე რ ც ო გ ი

რა ავი ზრახვა?

ბ ა რ ო ნ ი

გთხოვთ, დამითხოვოთ . .

ჰ ე რ ც ო გ ი

უცნაური ამბავი ხდება -

იქნებ გრცხვენიათ მის მაგივრად?

ბ ა რ ო ნ ი

მრცხვენია, დიახ.

ჰ ე რ ც ო გ ი

არმეტყვით, რა ჰქნა მან ასეთი?

ბ ა რ ო ნ ი

მას. . . ჩემი მოკვლა

უნდოდა . . .

ჰ ე რ ც ო გ ი

მოკვლა? მაშ, სამსჯავროს გავუჩენ ახლავ,

როგორც გულბოროტ დამნაშავეს.

ბ ა რ ო ნ ი

მე ვერ დავიწყებ

ამის მტკიცებას, თუმცა ვიცი დანამდვილებით

რომ სიკვდილს ნატრობს იგი ჩემსას, თუმცა უტყუარად

მე ის ვიცი, რომ აპირებდა . . .

ჰ ე რ ც ო გ ი

რას?

ბ ა რ ო ნ ი

ჩემს გაქურდვას.

(დარბაზში ალბერი შემოვარდება)

ა ლ ბ ე რ ი

ცრუობთ, თქვენ ცრუობთ!

ჰ ე რ ც ო გ ი

როგორ ბედავთ!. . .

ბ ა რ ო ნ ი

ო, მაშ, აქა ხარ!

შე უმადურო! და მამაშენს ამას უბედავ?!

ვცრუობ, ხომ! მერე სად? ჰერცოგის წინაშე? არა,

აღარ ვყოფილვარ მე რაინდი!. . . და შენ უძლებო. . .

ა ლბ ე რ ი

სიცრუეს ამბობთ!

ბ ა რ ო ნ ი

ო, ცა რატომ თავს არ მენგრევა. . .

მაშ, ხმალმა, ხმალმა გაგვასწოროს!

(ხელთათმანს ესვრის ალბერს. იგი სწრაფად იღებს ხელთათმანს)

ა ლბ ე რ ი

დიდი მადლობა!

აი, პირველი საჩუქარი მშობელი მამის!

ჰ ე რ ც ო გ ი

ღმერთო, რა ხდება! ეს რა ნახაეს ჩემმა თვალებმა?

მოხუცი მამის გამოწვევა მიილოშვილმა. . .

რა დროს ვიტყვირთ ჰერცოგობა! გეყოფათ მეთქი,

და დუმდით შლეგნო! შენც გულბნელო მოხუცო და შენც

ღვთის ბოგვერო! მომეცი აქ ეგ ხელთათმანი!. . .

(ართმევს ხელთათმანს)

ა ლბ ე რ ი

დიდად ვწუხვარ.

ჰ ე რ ც ო გ ი

ჩაჰფრენია ბრჭყალებით მხეცო!

გასწით და სანამ არ მოგიხმობთ, არ დამენახოთ

თვალით! (ალბერი გადის)

თქვენ კი. . . თქვენ, უბედურო მოხუცო, ნუთუ

არა გრცხვენიათ?

ბ ა რ ო ნ ი

მომიტევეთ ბატონო, მაგრამ. . .

ველარ ვერევი თავს. . . მუხლები მლალატობს თითქოს. . .

სუნთქვა მეკვრება. . . ვიხუთები! . . . ოჰ, გასაღები! . . .

სადაა ჩემი გასაღები! . . .

ჰ ე რ ც ო გ ი

გათავდა! ღმერთო,

რა საშინელი დრო დაგვიდგა, რას მოვესწარით?!